ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0310/01

03 ოქტომბერი 2019 წელი

მიმწოდებელი: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი", აღმასრულებელი დირექტორის ვახტანგ ბურკიაშვილის სახით
მისამართი: სანაპიროს 2, ქ. თბილისი 0114, საქართველო
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკი, ს/კ: 203824148, ბანკის კოდი: BNLNGE22, ანგარიშის № GE52 NB04 5010 1499 9041 01;

შემსყიდველი: კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარმოდგენილი მისი თავჯდომარის კახი ბექაურის სახით
მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 204953050, მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: GE11TB0600000000609326

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს" (წარმომადგენლობითი ხარჯი CPV კოდი: 18530000) **საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტი) 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლის მონეტა 15 (თხუთმეტი) ცალი** (შემდგომში „საქონელი"), ხოლო „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საფასური.

მუხლი 2. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

2.1. საქონლის მიწოდებას ,,მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.
2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით საქონლის გადაცემა მოხდება მისამართზე – ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი N72;
2.3. საქონლის გადაცემა დასტურდება გადაცემის დღეს მხარეთა შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტი თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
2.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის და საქონლის მიღების უფლება ენიჭება *კომისიის თანამშრომელს სალომე ძმანაშვილს (01001079584)*

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების წესი და პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, ხელშეკრულების საგნის ღირებულება განისაზღვრება **ერთ ცალ მონეტაზე 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარით.**
3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1125 (**ერთიათასასოცდახუთი) ლარს.**
3.3. საქონლის ფასის გადახდა ხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **5 (ხუთი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
4.1.1. მიიღოს ნაყიდი ქონება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.
4.1.2. მისთვის ნასყიდობის საგნის გადაცემისას შეამოწმოს საქონლის ხარისხი.
4.1.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
4.2.1. გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნასყიდობის საგანი.
4.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა
5.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0.2 პროცენტის ოდენობით.
5.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0.2 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 6. დავათა განხილვის წესი
6.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი
7.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად, თუ შესრულების შეფერხება ან ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოებების შედეგი.
7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომის, სტიქიური უბედურების და სხვა მსგავსი მოვლენებით.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები
8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერიდან და ძალაშია 2019 წლის 30 დეკემბრამდე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
9.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილის ბათილობას.

მუხლი 10. ზოგადი დებულებები
10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
10.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მიმწოდებლის მხრიდან:

აღმასრულებელი დირექტორი

ვახტანგ ბურკიაშვილი

მ.ა.

დამოწმებულია
კვალიფიციური
ელექტრონული შტამპით

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

შემსყიდველის მხრიდან:

კომისიის თავჯდომარე

კახი ბექაური

მ.ა.

GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION

Digitally signed by GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION
Date: 2019.10.03 12:21:39 +04'00'